ნინო ხარჩილავა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბხსუ - ასოცირებული პროფესორი

Nino Kharchilava

LEPL Batumi Art University

BASU - Associate Professor

მუზეუმების როლი კულტურული ტურიზმის განვითარებაში

The role of museums in the development of cultural tourism

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.14

აბსტრაქტი

ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს მუზეუმების როლის განსაზღვრა კულტურული ტურიზმის განვითარებაში. კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

მუზეუმი როგორც წესი, საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი მუდმივი ინსტიტუტია. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესებში მუზეუმები მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან, საოცარი სისწრაფით ინტეგრირდება და იღებს, შეუზღუდავი რაოდენობის, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელ ვიზიტორებს. ამიტომ, საჭიროა სწორად მოხდეს მისი როლის გააზრება და წარმოჩენა.

ქვეყნის, როგორც მატერიალური (ისტორიული, ხუროთმოძღვრული ძეგლები), ისე არამატერიალური (ხალხური შემოქმედება, ენა, აღმსარებლობა, ტრადიციები, წეს-ჩვეულება) ფასეულობები უნიკალური წინაპირობაა კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის, რაც ვიზიტორების მხრიდან მუზეუმებისადმი მზარდ ინტერესს იწვევს. მუზეუმი ერთგვარი საცავია იმ ინფორმაციის, განათლებისა და კულტურის, რომელსაც მრავალი წელი აგროვებდა ადამიანი თავისი მოღვაწობით. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ტურისტული მოგზაურობის აუცილებელ პუნქტებს შორის მუზეუმმა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა, რამეთუ უცხო ქვეყნის გასაცნობად რამ შეიძლება მოგცეს იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე იმ საცავმა, სადაც მისი ისტორია, კულტურა ინახება

და ტურისტებს აძლევს საშუალებას, უფრო ღრმად გაეცნონ მათთვის მანამდე უცნობ უნიკალურ კულტურას.

საკვანძო სიტყვები: მუზეუმები, მუზეუმების როლი, კულტურული ტურიზმი.

Abstract

The research topic of the paper is the determination of the role of museums in the development of cultural tourism. Cultural tourism includes all areas of tourism related to the popularization of the history, culture, ethnography, material and spiritual heritage of the nation.

As a rule, a museum is a permanent institution serving the development of society. In the processes of modern globalization, museums closely cooperate with society, integrate with amazing speed and receive an unlimited number of both local and foreign visitors. Therefore, it is necessary to correctly understand and present its role.

The country's values, both material (historical, architectural monuments) and intangible (folk art, language, religion, traditions, customs) are a unique prerequisite for the development of cultural tourism, which causes a growing interest in museums from visitors. A museum is a kind of repository of information, education, and culture that people have accumulated over many years through their work. All this has led to the fact that a museum has taken its rightful place among the essential points of a tourist trip, because nothing can give you more information about a foreign country than a repository where its history and culture are stored and which allows tourists to get to know a unique culture that was previously unknown to them in more depth.

Keywords: museums, role of museums, cultural tourism.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომე-ლიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სოციალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან. თანახმად საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნისა, საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების კუთხით კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. მსოფლიოს ხალხებმა რომ იარსებონ, საჭიროა გამოავლინონ შემოქმედებითი ძალები და მომავალ თაობებს გადასცენ თავიანთი ისტორიის კვალი. კულტურული მემკვიდრეობა ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას, აერთიანებს რა წარსულს, აწმყოსა და მომავალს, წარმოადგენს განვითარების საფუძველს [გალახვა-რიძე, 2022:7]. კულტურული ტურიზმი თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ მიმართულებად ითვლება, რომლის ცენტრალურ ელემენტს კულტურუ-ლი მემკვიდრეობის ობიექტები, განსაკუთრებით კი მუზეუმები წარმოადგენს. მუ-ზეუმები არა მხოლოდ კულტურული ღირებულებების დაცვასა და

შენარჩუნებას ემსახურება, არამედ აქტიურად მონაწილეობს ტურისტული პროდუქტების ფორმი-რებაში.

საქართველოში არსებული მუზეუმები ინახავენ ქვეყნის მრავალსაუკუნოვან მა-ტერიალურ და სულიერ მემკვიდრეობას, რაც კულტურული ტურიზმის განვითარე-ბის საფუძველს ქმნის. მუზეუმი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუ-ციას, რომელიც აერთიანებს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ კოლ-ექციებს და საერთაშორისო ვიზიტორებს საქართველოს ცივილიზაციურ მნიშნელობას აცნობს. თანამედროვე მუზეუმებში არსებობს საგანმანათლებლო სივრცეები, სადაც ვიზიტორი არა მხოლოდ აკვირდება ექსპონატებს, არამედ მონაწილეობს კულტურულ დიალოგში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალეთნიკური და მრავალკულ-ტურული ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა.

საქართველოში სხვადასხვა პროფილისა და დაქვემდებარების (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტები, სხვადასხვა დაწესებულებებთან არსებული მუზეუმები, კერძო მუზეუმები და სხვ.) 238 მუზეუმია [ქარაია, 2011:158]. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მუზეუმების სამმართველოსა და საქართველოს მუზეუმების ასოციაციის მიერ 2003-2004 წლებში ჩატარებულმა მოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ქვეყანაში სამუზეუმო საქმე ითხოვდა რადიკალურ რეფორმას და მართვის იმგვარი მექანიზმების შემუშავებას, რასაც ხელი უნდა შეეწყო მოძველებულ სისტემათა განახლებისა და საქართველოს მუზეუმების მოდერნიზაციისათვის. შესაბამისად, 2004 წლიდან ქვეყნის სამუზეუმო სივრცეში დაიგეგმა სამუზეუმო რეფორმა და პრობლემათა დაძლევის მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა სამუზეუმო რეფორმის პროგრამის სტრატეგიული მიმართულებები, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მაგრამ ეკონომიკური კრიზისისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო, რეფორმის პროცესი დღემდე საკმაოდ ნელა მიმდინარეობს, რაც აფერხებს ქვეყნის მუზეუმების განვითარებას და მათ მიახლოებას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებსა და XXI საუკუნის მოთხოვნებთან [ქარაია, 2011:158]. მუზეუმები საზოგადოებისა და მისი განვითარების სამსახურში მყოფი საჯარო კულტურული დაწესებულებებია, რომლებიც აგროვებენ, იკვლევენ, ინახავენ და გამოფენენ ხალხებისა და მათი გარემოს შესახებ მატერიალურ ტექნიკურ ჩვენებებს. მუზეუმის ფუნქციონირება მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს: სისტემატური შეგროვება, სამეცნიერო, პროფესიული და ტექნიკური დამუშავება, დაცვა და შენახვა, მოძრავი კულტურული რესურსების გამოფენა და მათი საქმიანობა უნდა იყოს აღიარებული და დაფასებული როგორც კომპეტენტური სახელმწიფო დაწესებულებების, ასევე ფართო საზოგადოების მიერ.

საზოგადოების სულიერი განვითარების ერთ-ერთი გზა კულტურული ტურიზმია, რომლის განვითარებაშიც მუზეუმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ [Zubitashvili, 2024:25]. მუზეუმი, ერთი შეხედვით კონსერვატიული დაწესებულებაა, რომელიც საოცარი სისწრაფით ინტეგრირდება თანამედროვე გლობალიზაციის პროცესებში, იღებს შეუზღუდავი რაოდენობის ვიზიტორს და მიზნად ისახავს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტების მოზიდვას. მუზეუმები, ქვეყანას მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის ტურისტებისთვის, რადგან მათ შეუძლიათ ბევრი ახალი რამის სწავლა. მუზეუმი არის სივრცე, რომელიც იკვლევს ადამიანების შემოქმედებითობას და მათ გარემოში არსებულ კრიტიკულ მასალას. მუზეუმები არსებობენ არა ამ საქმიანობიდან მოგების მისაღებად, არამედ იმისთვის, რომ დააინტერესონ საზოგადოება მუზეუმის სისტემის აუცილებლობით და უფრო მეტ ადამიანს შეუყვარდეთ მუზეუმი.

მუზეუმი, ასევე არის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც შექმნილია ბუნების ძეგლების, მატერიალური და სულიერი კულტურის შესასწავლად, შენარჩუნებისა და გამოყენებისთვის, ასევე მოქალაქეებისთვის ეროვნული და მსოფლიო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისა და პოპულარიზაციისათვის. მუზეუმი ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილია და მჭიდროდ თანამშრომლობენ ტურიზმის ინდუსტრიასთან. ტურიზმის ინდუსტრიის მეშვეობით მუზეუმი უკავშირდება მომგებიან ბიზნესებს, როგორიცაა სასტუმროები და ტუროპერატორები, რათა ხელი შეუწყონ თავიანთი პროდუქციის პოპულარიზაციას. რესურსების გაერთიანება დიდად უწყობს ხელს დამატებითი რეკლამირებისა და მონაწილეობის გაუმჯობესებას. გარკვეული რეგიონის ბრენდი და იმიჯი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზღვარგარეთ მუზეუმის ტურიზმის განვითარებაში. მუზეუმის მარკეტინგისა და მენეჯმენტის სწორად გამოყენების უნარს შეუძლია მრავალი ტურისტის მოზიდვა.

კულტურული და მემკვიდრეობითი ტურიზმი განისაზღვრება, როგორც მოგზაურობა, რომელიც მიმართულია ხელოვნების, მემკვიდრეობისა და იმ აქტივობების გაცნობისკენ, რომლებიც ნამდვილად წარმოადგენენ წარსულისა და აწმყოს ისტორიებსა და ადამიანებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამ საკითხს დიდი ყურადღება ექცევა. განვითარებად ქვეყნებს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდებათ მათი ძვირფასი მემკვიდრეობის დასაცავად. კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია და უფრო მძლავრი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტია. გამოვლინდა, რომ მუზეუმები ამჟამად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მხოლოდ ხელოვნების უფრო ფართო სფეროში, არამედ ტურიზმსა და დასვენებაშიც. მათი როლები შეიცვალა მეტი აუდიტორიის მოსაზიდად.

მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა იმ სოციალური ჯგუფების მემკვიდ-რეობის შენარჩუნება და გამოფენა, რომლებთანაც მას ურთიერთობა უწევს. სწორედ ამას ეძღვნება

ეთნოგრაფიული მუზეუმები, რაც გულისხმობს ქვეყანაში არქიტექტუ-რული და ეთნოგრაფიული მუზეუმის ცენტრის შექმნას, რომელიც შედგება მუზეუმის ექსპოზიციის ობიექტების მთელი კომპლექსისგან, მრავალფეროვანი ექსპოზიციებით, რომლებიც ასახავს საქართველოს მდიდარ და ორიგინალურ კულტურას. მუზეუმები აცნობიერებენ თავიანთ მნიშვნელოვან როლს ტურისტების მოზიდვაში, სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ XXI საუკუნის დასაწყისისთვის საერთაშორი-სო ტურიზმი მსოფლიოში ეკონომიკის უდიდეს სექტორად იქცა, ხოლო კულტურული ტურიზმი - ამ სექტორის ყველაზე დინამიურ ინდუსტრიად. მცირე მუზეუმებსაც კი შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ტურისტების მოთხოვნის გაზრდაში ისეთ რეგიონში, რომელიც სხვა მხრივ განსაკუთრებით მიმზიდველი არაა და ასეთი მუზეუმის მმართველი უნდა შეეცადოს აუხსნას რეგიონის პოლიტიკურ და ბიზნეს ლიდერებს მისი მუზეუმის მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებისთვის.

მუზეუმები როგორც საკულტო ადგილები, ასევე ტურისტული ღირსშესანიშნა-ობებია. ისინი ხშირად ქალაქის მონახულების მთავარი მიზეზია. ტურისტული ღირსშესანიშნაობების ფუნქციის გარდა, მუზეუმებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ახალგაზრდა თაობის განათლებაში. უკანასკნელ წლებში, საზოგადოების ცვლილების პარალელურად, გაიზარდა კულტურული ტურიზმის მოთხოვნებიც, რაც ახალ გამოწვევათა წინაშე აყენებს მუზეუმებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ტურიზმის სრულყოფილი განვითარება და პირიქით.

კულტურული ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის პრევენციას, რესტავრაციას და წარმოჩენას - ახდენს გარკვეული ფინანსური შემოსავლის კონცენტრაციას კონსერვაციის, კვლევის, განათლებისა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების სასარგებლოდ. შესაბამისად, მთელ რიგ ქვეყნებში, კულტურულ ტურიზმსა და მუზეუმებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ ურთიერთქმედებისა და განვითარებისთვის. რიგ ქვეყნებში კი, მათ შორის საქართველოშიც, მიუხედავად უნიკალური მემკვიდრეობისა, მუზეუმები სათანადოდ ვერ არიან ჩართულნი კულტურული ტურიზმის ინდუსტრიაში სხვადასხვა პრობლემათა გამო. თუმცა აუცილებელია ამ პრობლემების ზუსტი გაანალიზება და პრიორიტეტების, მუზეუმებში არსებული რესურსების სწორად განსაზღვა მრავალფეროვანი სამიზნე აუდიტორიისთვის.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ სამთავრობო ეკონომიკური სექტორისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებიც გეგმავენ საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიებს, ხელი შეუწყონ მათ მეტ ინტეგრირებას კულტურული ტურიზმის კონცეფტში. საქართველოს მუზეუმებს რეალურად ძალუძთ განავითარონ კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი საბაზრო მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად და მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ინტერკულტურული დიალოგის განვითარებაშიც [ქარაია, 2011:167-168].

თანამედროვეობაში სულ უფრო იზრდება მუზეუმების საგანმანათლებლო რო-ლი, რაც პიროვნების ჰარმონიული აღზრდისა და ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. სამუზეუმო განათლება ახალ ხედვასა და მიდგომებს ითვალისწი-ნებს, რადგან ჩვეულებრივი ექსკურსიები და სამუზეუმო ექსპონატების დათვალიერება ბევრ ქვეყანაში უკვე ვეღარ აკმაყოფილებს სამუზეუმო განათლების ფუნქციებს. მოზარდებთან მუშაობისას მუზეუმები აქცენტს აკეთებენ მათი თვალთახედვის, და-კვირვების, ინფორმაციის კლასიფიკაციისა და გენერირების უნარის განვითარებაზე, სამყაროს შემეცნებაზე. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა შემეცნების აქტიურ და ინტერაქტიურ ფორმებს, თანამედროვე ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას [ენდელაძე, მუჯირი, 2023:46] ამის მაგალითია სსიპ ,,აჭარის მუზეუმი“, რომელიც აერთიანებს შვიდ მუზეუმს. გაერთიანება გულისხმობს მუზეუმების ახლებურ შინაარსობრივ კონცეპტუალურ გააზრებას და მათი საქმიანობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნას. აჭარის მუზეუმის გაერთიანებაში არსებული მუზეუმები და მათი ფილიალები ვიზიტორებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისთვის მუზეუმების პროფილური მიმართულების შესაბამისად, საჯარო ლექციებს, თემატურ შეხვედრებს, ,,ვიარ ტექნოლოჯი“ მომსახურებას, კომფორტული გარემოს და გარე უფასო მოსასვენებელი სივრცეს ვიზიტორებისათვის, QR კოდებს (ქართულ და ინგლისურ ენაზე) საექსპოზიციო დარბაზებში და სხვა [https://ajaramuseums.ge/services].

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები და საჯარო ლექციები, მუზეუმების ექსპოზიციაში წარმოდგენილი არტეფაქტები მუზეუმის ვიზიტორებს აწვდის ინფორმაციას ბათუმის ისტორიისა და ქართული ტრადიციის თვითმყოფადობის შესახებ, რელიგიური ტოლერანტობის ჭრილში. საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს ექსკურსიებს მუზეუმში, ლექცია - საუბრებს პრეზენტაციის სახით და შემეცნებით, საინტერესო აქტივობებსა და მასტერკლასებს.

მუზეუმებსა და ტურიზმის ინდუსტრიას შორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის. ერთი შეხედვით, მუზეუმები და კულტურული ღირსშესანიშნაობები ტურისტებისთვის ისეთივე მიმზიდველია, როგორც გასართობი პარკები, მაგრამ მარტივი გაზომვებიც კი აჩვენებს, რომ რეალური გასართობი ობიექტები უფრო პოპულარულია. მუზეუმების როლი მნიშვნელოვანია კულტურულ ტურიზმის განვითრებაში, რადგან მათ გარეშე წარმოუდგენელია კულტურული ტურიზმის სრულფასოვანი და სრულყოფილი არსებობა. მუზეუმები აქტიურად არიან ჩაბმულნი ტურისტთა საექსკურსიო მარშრუტებში და ქმნიან ახალ შესაძლებლობებს ტურისტებისათვის გაეცნონ უცნობ ადგილებს, ეზიაროონ სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა ისტორიას, ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს.

ამრიგად, მუზეუმებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-შენახვაში, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში. მუზეუმებს

დამთვალიერებლისთვის ვიზუალური სიამოვნების მინიჭების გარდა, საზოგადოების განვითარებისა და განათლების ფუნქციაც აქვს. მუზეუმის როლი - კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების გაღრმავებას და იძლევა იმის საფუძველს, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენ-ლებმა უკეთ გაუგონ ერთმანეთს ტურიზმის მეშვეობით და დაამყარონ მჭიდრო კონტაქტები. მუზეუმები, კულტურული ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ ბირთვს წარმოადგენს და მათი როლი სცდება ექსპონატების დაცვას, იგი მოიცავს საგანმანათლებლო, ეკონომიკურ და კულტურათაშორის ფუნქციებს, რაც ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გალახვარიძე ნ., კულტურული ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის აქტუალური საკითხები, სამეცნიერო ჟურნალი: დიპლომატია და სამართალი, №1-2(9), თბილისი, 2022

ენდელაძე ნ., მუჯირი ვ., სამუზეუმო განათლების როლი პიროვნების ჰარმონიული ჩამოყალიბების პროცესში, სტუ-ის შრომები (ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები), №4 (530), 2023

სსიპ აჭარის მუზეუმი - https://ajaramuseums.ge/services

ქარაია ი., საქართველოს მუზეუმები 21-ე საუკუნის მიჯნაზე - პრობლემები და განვითარების პერსპექტივები, ჟურნალი: Caucasus Journal of Social Sciences, Vol, 4 No. 1, 2011

ქარაია ლ., კულტურული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართვე-ლოს მუზეუმებში, ჟურნალი: Caucasus Journal of Social Sciences, Vol, 4 No. 1, 2011

Tamar Zubitashvili, The Role of Museums for the Issue of Tourism Development, Sciental Journal of Education Humanities and Social Sciences, Vol. 2.1, 2024